საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1025 2024 წლის 23 ივლისი ქ. თბილისი

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის ხელშესაწყობად:

ა) „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყოს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარი, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განსახორციელებლად;

ბ) დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის გასაზრდელად საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესაბამისი რესურსის მოძიება;

გ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა განაწილდება საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის, გარდა ქალაქ თბილისის, ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვის, აჟარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისა, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგი წესის მიხედვით:

გ.ა) თითოეულ მუნიციპალიტეტს მიეცემა 100 000 (ასი ათასი) ლარი;

გ.ბ) დარჩენილი თანხა განაწილდება ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს თითოეულ მუნიციპალიტეტზე, აღნიშნული მუნიციპალიტეტების მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით;

დ) ამ განკარგულების „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის მიხედვით განაწილებული თანხა უნდა მოხმარდეს, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მუნიციპალიტეტების საკუთარი უფლებამოსილებების გათვალისწინებით, იმ პროექტ(ებ)ის განხორციელებას, რომელიც შეირჩევა შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლ(ებ)ის მეშვეობით, მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად, მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე;

ე) ამ განკარგულების „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით წარდგენილი ინიციატივების განხილვის შედეგად, პროექტ(ებ)ის შერჩევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი;

ვ) პროექტ(ებ)ისთვის გათვალისწინებული თანხის შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადარიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, ამ განკარგულების შესაბამისად და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

ზ) ამ განკარგულების „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე განკარგულებით დადგენილი პროცედურებით და მიზნით;

თ) ამ განკარგულების „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი;

ი) ამ განკარგულების „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხით განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის თანადაფინანსება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით;

კ) ამ განკარგულების „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხით განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამავე განკარგულების დანართით შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის 200 პროცენტს;

ლ) პროექტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვები შესაძლებელია, წარმოადგენდეს მრავალწლიანი შესყიდვის კატეგორიის შესყიდვებს;

მ) საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში, პროექტ(ებ)ის შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შესაბამისმა მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ შესაბამისი პროცედურების განხორციელება სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განსახორციელებლად;

ნ) დაევალოს სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიმართვის საფუძველზე, გადახედოს იმ სამუშაოსა და მომსახურების CPV კოდებს, რომელთა შესყიდვა შესაძლებელია პრეისკურანტის საფუძველზე;

ო) სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, პროექტების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვებისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

პ) „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში, პროექტების მიმდინარეობისა და შესრულების საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, კომპეტენციის ფარგლებში;

ჟ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ვალდებულია, პერიოდულად მოითხოვოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტებიდან პროექტების მიმდინარეობის შესახებ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახდენს ინფორმაციის შესწავლას, ანალიზს და შესაბამის ინფორმაციას წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

N	მუნიციპალიტეტის დასახელება	თანხა (ლარი)
	სულ ჯამი	20 000 000
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	298 249
2	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	495 811
3	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	219 638
4	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	1 029 574
5	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	235 889
6	ვანის მუნიციპალიტეტი	254 338
7	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	462 850
8	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	323 919
9	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	405 766
10	საჩხერის მუნიციპალიტეტი	337 847
11	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	231 211
12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	458 159
13	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	351 126
14	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	222 610
15	ხონის მუნიციპალიტეტი	248 406
16	ახმეტის მუნიციპალიტეტი	298 091
17	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	442 128
18	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	233 616
19	თელავის მუნიციპალიტეტი	467 396
20	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	362 422
21	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	425 909
22	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	288 565
23	ყვარლის მუნიციპალიტეტი	287 803
24	დუშეთის მუნიციპალიტეტი	261 560
25	თიანეთის მუნიციპალიტეტი	159 614
26	მცხეთის მუნიციპალიტეტი	450 402
27	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	123 895
28	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	170 432
29	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	127 616
30	ონის მუნიციპალიტეტი	138 597
31	ცაგერის მუნიციპალიტეტი	165 401
32	ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი	361 081
33	აბაშის მუნიციპალიტეტი	240 668
34	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	764 328
35	მარტვილის მუნიციპალიტეტი	310 697
36	მესტიის მუნიციპალიტეტი	158 657
37	სენაკის მუნიციპალიტეტი	349 665
38	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	240 467
39	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	264 702
40	ხობის მუნიციპალიტეტი	292 343
41	ადიგენის მუნიციპალიტეტი	203 652
42	ასპინძის მუნიციპალიტეტი	165 306
43	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	383 779
44	ახალციხის მუნიციპალიტეტი	344 899
45	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	258 758
46	წინოწმინდის მუნიციპალიტეტი	254 205
47	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	887 700
48	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	437 425
49	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	615 525
50	დმანისის მუნიციპალიტეტი	220 520
51	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	233 024

N	მუნიციპალიტეტის დასახელება	თანხა (ლარი)
52	მარნეულის მუნიციპალიტეტი	756 716
53	წალკის მუნიციპალიტეტი	218 681
54	გორის მუნიციპალიტეტი	891 409
55	კასპის მუნიციპალიტეტი	375 600
56	ქარელის მუნიციპალიტეტი	360 143
57	ხაშურის მუნიციპალიტეტი	431 210